ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 235

"23" ივნისი 2015 წ.

ქ. თბილისი

ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, სოფელ ნასაგურში მდებარე უსახელო ქუჩისთვის კაპიტონ აბესაძის სახელის მინიჭების შესახებ

1. საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილების და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ" ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) სამგორის რაიონში, სოფელ ნასაგურში მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს სახალხო არტისტის, მსახიობ კაპიტონ აბესაძის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ ოთხი თვის ვადაში უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიხეგაშვილი

X- 499,858.292
Y- 4,617,511.603
ალიბეგოს აბესაძის ქ.
X- 499,866.715
Y- 4,616,728.268